აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის, მეოთხე სამუშაო ჯგუფის

მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციებს

ჩვენ, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, უკიდურეს შეშფოთებას გამოვხატავთ გალის რაიონში შექმნილი ვითარების გამო, რომელიც შეეხება ქართველი მოსახლეობის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ფუნდამენტური უფლების შელახვას.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებამდე გალის რაიონში არსებული 58 სკოლიდან 53-ში სასწავლო პროცესი ქართულად მიმდინარეობდა. კონფლიქტის შემდეგ აღდგენილი იქნა 31 სკოლა. ყველა მათგანში, ერთის გარდა, იყო ქართულენოვანი სწავლება (ინფორმაციისთვის: გალის რაიონის მოსახლეობის 90% ქართველია).

2008 წლის შემდეგ გალის რაიონის ტერიტორიაზე თანდათან მოხდა 20 სკოლის ტრანსფორმირება და მათ მიენიჭა რუსული სკოლის სტატუსი. ხოლო ეგრეთ წოდებული „ქვედა ზონის“ 11 სკოლას ჰქონდა ქართული სკოლის სტატუსი. სიტუაცია გაუარესდა 2015-2016 სასწავლო წლიდან, როცა ეს სკოლებიც ოფიციალურად რუსულენოვან სწავლებაზე იქნა გადაყვანილი.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მიმდინარე სასწავლო წელს 71 მოსწავლე და მასთან ერთად ერთი ან ორივე მშობელი იძულებული გახდა, დაეტოვებინა მშობლიური სახლი და გადასულიყო საქართველოს სხვა რაიონში, რათა უზრუნველყო შვილისთვის განათლების მიღება ქართულ ენაზე. ეს ფაქტი ლახავს არა მარტო ადამიანის ძირითად უფლებას, მშობლიურ ენაზე მიიღოს განათლება, არამედ არღვევს „ოჯახის ერთიანობის“ უნივერსალურ პრინციპს და აიძულებს ქართულ მოსახლეობას, მიატოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი, რაც ამასთან ერთად ცვლის აფხაზეთის დემოგრაფიულ შემადგენლობას.

აფხაზეთის ქართველი მოსახლეობისთვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების უზრუნველყოფა მუდმივად დგება მოლაპარაკებათა სხვადასხვა დონეზე. საკითხის შესახებ ინფორმირებულნი არიან საერთაშორისო ინსტიტუტები. მათ წინაშე არაერთხელ დასმულა არსებული სიტუაციის და ადამიანების ცხოვრებაზე მისი გავლენის თაობაზე საერთაშორისო მონიტორინგის ჩატარების აუცილებლობის საკითხი, მაგრამ, ამის მიუხედავად, პრობლემა დღემდე მოუგვარებელია, მოსახლეობის მდგომარეობა კი სულ უფრო უარესდება.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება მიმართავს ყველა ინსტიტუტს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ჟენევის მოლაპარაკებების ყველა მხარეს - გავლენა მოახდინოს საგანმანათლებლო პროცესის რუსიფიკაციის პროცესზე და მხარი დაუჭიროს გალის რაიონის მოსწავლეების ძირითად უფლებას - საშუალო განათლება მიიღოს მშობლიურ, ქართულ ენაზე.

შენიშვნა: აღნიშნულ მიმართვას უერთდებიან როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები, ასევე პლატფორმის არაწევრი რეგიონალური არასამთავრობო ორგანიზაციები.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

1. კულტურულ ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“
2. მეწარმე ქალთა ფონდი
3. ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"
4. პედაგოგთა კავშირი "განათლება და სამყარო" (UTEU)
5. ასოციაცია ,,დეა"
6. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი"
7. ენერგოეფექტურობის ფონდი
8. კავშირი " ვეჟინი"
9. გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევის ცენტრი
10. რეპატრიანტთა კავშირი
11. საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
12. „ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი“
13. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
14. "სტუდიომობილი - აქცენტი მოძრაობაზე"
15. კავკასიის განვითარების ჯგუფი
16. გორი ,,კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი''
17. სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია ტოლერანტი
18. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია ,,სპექტრი"
19. კავშირი ,,სოციუმი XXI"
20. საერთაშორისო ბიზნესის გავნითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი
21. ეკოფაქტი
22. საერთაშორისო ასოციაცია “კივიტას გეორგიკა”
23. ასოციაცია "დიოსკურია'
24. ასოციაცია "ამაგდარი"
25. ევროკავშირი–საქართველოს ბიზნესაბჭო (EUGBC)
26. ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა
27. ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაცია “ოქსფამი“
28. ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის

საქართველო ▪ თბილისი 0108 ▪ რუსთაველის გამზირი 50/1 ☎ +995 32 293 11 28
ვებ–გვერდი: eap-csf.ge ელ–ფოსტა: np@ei-lat.ge

29. ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC)

30. საერთაშორისო ასოციაცია "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის"
31. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი
32. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
33. ასოციაცია"ქალი და ბიზნესი"
34. გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
35. საქართველოს იურისტთა ასოციაცია
36. ჟურნალისტთა ასოციაცია „გენდერ-მედია-კავკასია"
37. ორგანიზაცია „კავკასიური მოზაიკა“
38. ასოციაცია ქალები მრავალეროვანი საქართველოსთვის
39. სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონის, საზღვრისპირა სოფლების ტერიტორიაზე მოქმედი ,,სათემო ფონდი ეგრისი''
40. ასოციაცია "მერკური"
41. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
42. "ქალები რეგიონის განვითარებისთვის"
43. საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრი
44. ასოციაცია "იმედი" დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის
45. ქალთა საინფორმაციო ცენტრი
46. ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი
47. ასოციაცია "სამეგრელო მედეა"
48. ფონდი „ტასო“
49. იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი "სპექტრი"
50. საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“
51. ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი
52. კოალიცია დევნილთა უფლებებისათვის
53. ორგანიზაცია გენდერული სამართლიანობა
54. ასოციაცია "ქალები რეგიონების განვითარებისათვის"
55. ქუთაისის ქალთა კლუბი
56. იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა"
57. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რესურს ცენტრი
58. ცხინვალის სამხარეო პროფცენტრი
59. ქვემო ქართლის ქალთა ასოციაცია "ქალი და სამყარო"
60. კავშირი ,,ქალთა ცენტრი“
61. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითრების კავკასიური ინსტიტუტი
62. ფონდი "ახალი სიცოცხლე"
63. ახალგაზრდული ალტერნატივა
64. ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ცენტრის მცხეთა-მთიანეთის კომიტეტი
65. კავკასიის ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი - CCFJ
66. საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია GARB
67. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა"
68. ანალიტიკური ცენტრი "მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის"
69. სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "*მნათობი*"

70. მარტოხელა მშობელთა ასოციაცია
71. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო- საქართველო
72. ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია
73. ევრომედცენტრი
74. ქართველ და გერმანელ ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი
75. ,,თავისუფალი არჩევანი"
76. საზოგადოება პოზიტიური ცვლილებებისთვის
77. ასოციაცია "გადავარჩინოთ მომავალი თაობა"
78. ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
79. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
80. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
81. საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო
82. საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია ”საქართველოს ჩაი”
83. ასოციაცია "სკოლა-ოჯახი-საზოგადოება"
84. ''საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის''
85. ფონდი ,,კავკასიის ეკოლოგია“
86. საზოგადოებრივი დამცველი
87. ჯანმრთელი ბავშვები
88. ჯანმრთელი სამყარო
89. ახალგაზრდები სამართლიანობისთვის
90. საერთაშორისო ფონდი ,,ლეა”
91. ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
92. საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტები
93. ასოციაცია ,,ღირსეული სიბერე"
94. ქალთა დასაქმების საინოვაციო ცენტრი **(WEIC)**